ფსიქოლოგიური დაძლევის სტილისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის კავშირი 18-29 წლის საშუალო და ზრდასრულ პირებში.

თინათინ აფხაიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნათა შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ კორინთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსტიტეტი

თბილისი,2016

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია დაძლევის მექანიზმებისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის კავშირი. კვლევა განხორციელდა კოპინგ მექანიზმების და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკვლევი კითხვარების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდა 100 რესპოდენტი -40 მამაკაცი, 60 ქალი. მათი საშუალო ასაკი იყო 21 წელი. კვლევაში დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები;1) გაქცევის სტრატეგიის ცვლადს უარყოფითი კავშირი აღმოაჩნდა გარემოს მართვას, პიროვნულ ზრდასა, თვითმიღებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობის მაჩვენებლებთან ,2) პიროვნული ზრდა, მიზანი ცხოვრებაში, გარემოს მართვა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა დადებით კორელაციაში აღმოჩნდნენ პრობლემის დაგეგმვის სტრატეგასთან.3) დადებითი გადაფასება დადებით კორელაციაში აღმოჩნდა გარემოს მართვასა და ცხოვრების მიზნების პარამეტრებთან. დადებითი კორელაცია აღმოჩნდა ასევე, პოზიტიურ დამოკიდებულებასა და სოციალური დახმარების ძიებას შორის.4) სქესთა შორისი განსხვავება აღმოჩნდა კონფრონტაციის და პრობლემის დაგეგმვის დაძლევის სტილების მაჩვენებლებში. ეს შედეგები გარკვეულ მოსაზრებას გვიქმნის საკვლევ საკითხებზე, თუმცა მონაცემები გენერალიზაცია არ შეიძლება, რადგან საკვლევი ჯგუფი მცირე იყო და ასაკობრივი ჯგუფები თანაბრად წარმოდგენილი იყო.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ადაპტაცია,სტრესის დაძლევის კოპინგ მექანიზმები, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

(სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას უნივერსტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად, გვერდი: 66, 67, 68)